# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 88

„18“ მარტი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 მარტის №22.288.327 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.23.009.031) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

*დანართი N1*

ქალაქ თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10 (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031)

| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, დაკავებული ბინი ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლანა კაციაშვილი | 24001005196 | სართული 3 | 34.01 | 01.19.23.009.031.01.516 |
| 2 | გიორგი ქურასბედიანი | 01027075121 | სართული 3 | 50.14 | 01.19.23.009.031.01.523 |
| 3 | ალექსანდრე თანდილაშვილი | 20001011439 | სართული 3 | 31.3 | 01.19.23.009.031.01.518 |
| 4 | მარინე ბასილაშვილი | 06001005488 | სართული 3 | 57.32 | 01.19.23.009.031.01.520 |
| 5 | თეა ტაველიშვილი | 01001006152 | სართული 2 | 28.17 | 01.19.23.009.031.01.515 |
| | | | სართული 2 | 7.18 | 01.19.23.009.031.01.517 |
| 6 | იამზე ხურცილავა | 29001003074 | სართული 2 | 21.01 | 01.19.23.009.031.01.519 |